აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის სამეცნიერო პრიორიტეტული მიმართულებები (2023-2025 წლები)

უნივერსიტეტში კვლევისა და სწავლების ინტეგრირება უზრუნველყოფილია პროფესორებისა და ლექტორების აქტიური ჩართვით კვლევით საქმიანობაში. სტრატეგიული პერიოდისთვის უნივერსიტეტის პრიორიტეტებად გამოისახა კვლევითი გარემოს გაფართოება და იმ თანამედროვე სტანდარტების დანერგვისათვის ხელშეწყობა, რომლებიც კვლევით საქმიანობას წაეყენება მეცნიერულ პროგრესის მიღწევისთვის. უნივერსიტეტის აკადემიური გუნდის გამოკითხვის, კვლევით-სამეცნიერო საჭიროებების, უნივერსიტეტის და მისის პარტნიორი ორგანიზაციების პოტენციალის შესწავლის და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პრიორიტეტული მიმართულებები. უნივერსიტეტის მიერ განისაზღვრა შემდეგი კვლევითი პრიორიტეტული მიმართულებები.

1. ტრავმატოლოგია-ორთოპედია
2. კარდიოლოგია
3. იშვიათი დაავადებები
4. მოლეკულური ბიოლოგია და გენეტიკა
5. რეაბილიტაცია და სპორტული მედიცინა
6. კურორტოლოგია-ბალნეოლოგია
7. ჯანდაცვის მენეჯმენტი

სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესი, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა და რაც მთავარია მსოფლიოში კოვიდის-შემდგომი პერიოდი კიდევ ერთხელ ნათლად გვაჩვენებს ახალი სამეცნიერო კვლევების განვითარების აუცილებლობას. უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი მაღალ-ტექნოლოგიური საუნივერსიტეტო კლინიკა საკუთრებაში, სადაც წარმატებით მიმდინარეობს კვლევებზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომების და მეთოდების გამოყენება, ასევე ხორციელდება საერთაშორისო კლინიკური კვლევები. გამომდინარე იქედან, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალი დასაქმებულია ამავე კლინიკაში და კლინიკის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ტრავმატოლოგია-ორთოპედიის და კარდიოლოგიის მიმართულებები, უნივერსიტეტის სამეცნიერო პრიორიტეტად სწორედ ეს მიმართულებები განისაზღვრა.

საქართველოს იშვიათ დაავადებათა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მოხდება იშვიათ დაავადებათა შესახებ სამეცნიერო კვლევების განხორციელება, სადაც აქტიურად იქნებიან ჩართულები, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე სტუდენტები.

კვლევითი პრიორიტეტები

უნივერსიტეტის ბაზაზე განვითარებულია რეაბილიტაციის და სპორტული მედიცინის მიმართულება. სპორტის მედიცინის და მეცნიერების აკადემიასთან გაფორმბული მემორანდუმის საფუძველზე დაიგეგმა ერთობლივი სამეცნიერო პროექტის განხორციელება. „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“, რომელიც დარგში ერთადერთ სამეცნიერო ბაზას წარმოადგენს, სადაც თავმოყრილია დარგში არსებული ყველა სამეცნიერო შრომა, მოითხოვს სისტემატიზაციას და მეტა-ანალიზის ტიპის კვლევების ჩატარებას. სწორედ ამ მიმართულებით დაიგეგმა უნივერსიტეტში კვლევის ჩატარება, რომლის მხარდამჭერ ორგანიზაციას წარმოადგენს საქართველოს კურორტების განვითარების სააგენტო. ჯანდაცვის მართვა უნივერსიტეტის კიდევ ერთი სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტია გამომდინარე იქიდან, რომ უნივეერსიტეტი მჭიდრო არის დაკავშირებული ალადაშვილის კლინიკასთან, ბალნეოლოგიურ კურორტთნა და „ჯეოსპიტალის“ ქსელთან.

ჯანდაცვის მართვაში და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ახალი ტექნოლოგიების (მათ შორის ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების) დანერგვა არის მთელს მსოფლიოში თანამედროვე ტრენდი და უნივერსიტეტს შეუძლია ამ მიმართულებით სასარგებლო კვლევების ჩატარება.

კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის გეგმა

აქტივობა	ვადა	პასუხისმგებელი სტრუქტურა/პირი
სამედიცინო ჟურნალის დაფუძნება და რეიტინგის მოპოვება;	2023 წელი	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია
მედიცინის მიმართულებით კვლევითი პოტენციალის შეფასება და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა	2023 წელი	აკადემიური საბჭო
სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ინიცირება განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად;	2023 წელი	აკადემიური პესონალი, აფილირებული კლინიკების პერსონალი
კვლევების მიმართულებით დაფინანსების მოპოვება	2023-24 წელი	სამეცნიერო კვლევების განვითარების სამსახური აკადემიური პერსონალი
კვლევების განხორციელების მიზნით, სამედიცინო კვლევითი ბაზებთან პარტნიორობის ინიცირება და შეთანხმება.	2023-24 წელი	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აკადემიური პერსონალი
კვლევით სფეროში საერთაშორისო პარტნიორების ქსელის ფორმირება;	2023-24 წელი	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აკადემიური პერსონალი
განხორციელებული სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაცია	2024-2025 წელი	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აკადემიური პერსონალი
კვლევების შედეგად დაგროვებული ცოდნის სასწავლო პროგრამებსა და საგანმანათლებლო პროცესებში ინტეგრირება	2024-25 წელი	უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აკადემიური და მოწვეული პერსონალი